საქმე № 2/13763-19

საოქმო განჩინება

(ამონარიდი სხდომის ოქმიდან)

2019 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

კრების თავმჯდომარე: გენადი მაკარიძე

კრების მდივანი: ანნა ხვედელიანი

1. მეურვე: სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო

წარმომადგენელი: მაია ბარათაშვილი.

2. მოვალე – შპს „მედჯორჯია“

(საიდენტიფიკაციო კოდი 206335367)

წარმომადგენელი – დავით ხუციშვილი.

2019 წლის 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა შპს ,,მედჯორჯიას“ წარმომადგენელმა დავით ხუციშვილმა და მოითხოვა კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 ივნისის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების შემდეგ, 26 ივნისის განჩინებით, შპს „მედჯორჯიას“ განცხადება კომპანიის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამავე განჩინებით მეურვედ დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 23-ე პუნქტის შესაბამისად კრედიტორთა პირველ კრებაზე მოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები და იქმნება მომრიგებელი საბჭო, ხოლო ამავე კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომრიგებელი საბჭო იქმნება კრედიტორთა პირველ კრებაზე, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების დასრულებისთანავე.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 25-ე, 27-ე, 32-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „მედჯორჯიას“კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2019 წლის 18 ოქტომბერს, 11:00 საათზე, შემდეგი დღის წესრიგით: ა)კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება; ბ) მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნა.

2. კრედიტორთა კრება შედგება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შენობაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, სხდომის დარბაზი №51).

3. განჩინება განთავსდეს ელექტრონულ სისტემაში.

4 . განჩინებაზე შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება, მისი გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა დაიწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

მოსამართლე **გენადი მაკარიძე**

კრების მდივანი **ანნა ხვედელიანი**